ა (ა) იპ წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია

დამტკიცებულია პედაგოგიური

საბჭოს სხდომაზე ოქმი №1
07.09.2021 წელი.

2021–2022 ***სასწავლო***

სარჩევი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია 3

გიმნაზიაში სამუშაო პირობები და დღის რეჟიმი 3

2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი 4

დისტანციური სწავლების ორგანიზება 5

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება 7

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა. შეფასების მიზანი 7

- მოსწავლის შეფასების ამოცანები 7

შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო 8

გიმნაზიის საგნობრივი კათედრები და მათი ფუნქციები 14

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი 16

სადამრიგებლო პროგრამა, კლასის დამრიგებლის მოვალეობები 17

ინკლუზიური განათლება 18

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა 18
- სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები. 19
- სსსმ მოსწავლის შინ სწავლება 19

დისციპლინა 20

სავალდებულო და არჩევითი საგნები. 20

საგნობრივი ჯგუფები 20

შემუშავებულია სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. 22

ადმინისტრაციის მშობელთან ურთიერთობა 22

შიდასასკოლო სასწავლო მონიტორინგის პრინციპები: 23

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება „ა (ა)ი.პ. წმ. **გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია** არის არაკომერციული, არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომლის **მისიაა** უსაფრთხო, წესრიგსა, ურთიერთთანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნა.

გიმნაზიის დანიშნულებაა, ზნეობრივად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდა, ქრისტიანული ღირებულებების შესაბამისად. მოსწავლეებისთვის რელიგიური, ეროვნული, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა და მათდამი პატივისცემის გაცნობიერება და ხელშეწყობა. მსოფლიოში ქრისტიანული კულტურის ადგილისა და მნიშვნელობის გაცნობა და ხელშეწყობა.

გიმნაზია უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივირებას გონებრივი შესაძლებლობების მიხედვით, ემსახურება მათთვის ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურეობის გაწევას, რაც მათ აძლევს საფუძვლიან, მყარ ცოდნას და ცხოვრებაში თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის საშუალებას.

გიმნაზია მოწოდებულია შექმნას ხელსაყრელი პირობები თითოეული მოსწავლისა და მასწავლებლის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მათ საკუთარი მიღწევებსა და ახალი მატერიალური ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად; გიმნაზიის ადამიანური რესურსი ღიაა და ურთიერთპარტნიორული თანამშრომლობისათვის მზადაა როგორც რეგიონის სხვადასხვა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ისე მომავლის ხედვაა პარტნიორული ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის ქვეყნების სკოლებთან; გიმნაზიის სასწავლო გეგმა ორიენტირებულია სასწავლო პროცესის ერთიანობაზე, მოსწავლეზე, მასწავლებლის პროფესიონალიზმზე, მიღებულ შედეგებზე და შედეგების დემონსტრირებაზე, იგი ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნების სწავლებას (სახელმწიფო სტანდარტს) და სტანდარტზევით საგნების ბლოკს.

გიმნაზია ცდილობს შეაფასოს სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტურობა მის მიერ დადგენილი მისიის შესაბამისად. გიმნაზიის საქმიანობა მიმართულია საკუთარი მისიის განხორციელებისაკენ. გიმნაზიის ადმინისტრაცია გიმნაზიას მართავს მოქმედი კანონმდებლობითა და გიმნაზიის წესდების, შინაგანაწესისა და დებულების შესაბამისად, გიმნაზიის მისიის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

გიმნაზიაში სამუშაო პირობები და დღის რეჟიმი

ა(ა) იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის 2021-2022 სასკოლო-სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმისა(და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე,ასევე გათვალისწინებულია სხვადასხვა რეკომენდაციები. გიმნაზიაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები) საფეხურზე.

დაწყებითი საფეხურის მისია:

- ✓ მოსწავლის შინაგანი ძალების გამოვლენა და საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მისი გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა.
- ✓ საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების
- ✓ სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება,
- ✓ ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთის.

საბაზო საფეხურის მისია:

- ✓ საბაზო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა- სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება.
- ✓ რათა მან შეძლოს სწორი არჩევანის გაკეთება საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელებასა

და პროფესიულ განათლებასა თუ შრომითი საქმიანობაში ჩართვას შორის.

საშუალო საფეხურის მისია:

საშუალო საფეხურის მისიაა

- ✓ საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;
- ✓ მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური,

2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი

1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტრს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები
2. 2021-2022 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2021 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2022 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასებისა.
3. I კლასის მოსწავლეთათვის 2021-2022 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2022 წლის 27 მაისი, ხოლო XII კლასის მოსწავლეთათვის - 2022 წლის 20 მაისი;
4. 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2021 წლის 30 დეკემბერს, მეორე სემესტრი კი დაიწყება 2022 წლის 17 იანვარს.
5. 2021-2022 სასწავლო წლის არდადეგები და უქმე დღეები:
6. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ:

- ✓ გიმნაზია გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;
- ✓ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო გიმნაზიაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები
- ✓ ობიექტური მიზეზების გამო გიმნაზია მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ.

7. I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 30 წუთი;
8. II - IV კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი;
9. V-XII კლასებში გაკვეთილის ხანგძლივობაა 40 წუთი. სწავლება მიმდინარეობს ერთ ცვლაში.
10. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 5 წუთი, მეორე და მესამე გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა შეადგენს 10 წუთს.

უქმე დღეები	
21.09.2021	ღვთისმშობლობა
14.10.2021	მცხეთობა-სვეტიცხოვლობა
23.11.2021	გიორგობის დღე
19. 01.2022	ნათლისღება
15.02.2022	მირქმა (ანაზღაურდება 19.02.2022)
07.04.2022	ხარების ბრწყინვალე დღესასწაული
18.04.-24.04 2022	ვნების შვიდეული (სააღდგომო არდადაგები)
25.04.2022	აღდგომის მომდევნო დღე
12.05.2022	ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე
26.05.2022	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
02.06. 2022	ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ანაზღაურდება 4 ივნისს)

შესვენებები და გაკვეთილების განრიგი

გაკვეთილების განრიგი 2021-2022

I *კლასი*

გაკვეთილი	დაწყება	გაკვეთილის ხანგრძლივობა	შესვენება	დამთავრება
1	9-15	30 *წთ*	5*წთ.*	9-45
2	9-50	30 *წთ*	10 *წთ*	10-20
3	10- 30	30 *წთ*	10*წთ*	11-00
4	11- 10	30 *წთ*	5*წთ.*	11-40
5	12-45	30 *წთ*	5*წთ.*	12-15

II –IV *კლასი*

გაკვეთილი	დაწყება	გაკვეთილის ხანგრძლივობა	შესვენება	დამთავრება
1	9-15	35 *წთ*	5*წთ.*	9-50
2	9-55	35 *წთ*	10 *წთ*	10-30
3	10-40	35 *წთ*	10*წთ*	11-15
4	11- 25	35 *წთ*	5*წთ.*	12-00
5	12-05	35 *წთ*	5*წთ.*	12-40

V -XII კლასებ

გაკვეთილი	დაწყება	გაკვეთილის ხანგრძლივოა	შესვენება	დამთავრება
1.	9-00	40 წთ	5წთ.	9-40
2.	9-45	40 წთ	10წთ	10-25
3.	10-35	40 წთ	10 წთ	11-15
4.	11- 25	40 წთ	5წთ.	12-05
5.	12-10	40 წთ	5წთ.	12-50
6.	12:55	40 წთ	5წთ.	13:35
7.	13:40	40 წთ	5წთ.	14:20

დისტანციური სწავლების ორგანიზება

გიმნაზიამ სრულად გაითვალისწინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებები, რომელიც ეხება ახალი Covid-19 ეპიდემიის გავრცელების გამო დისტანციური სწავლებისას სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის დადგენილი რეგულაციებისაგან განსხვავებულ პირობებს მოსწავლეთა შეფასებისას (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020წლის 4 ივნისის ბრძანება N62/ნ- ვებგვერდი 04.06.2020წელი).

გიმნაზია დისტანციურ სწავლებას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში წარმართავს **ჰიბრიდული (შერეული)** სწავლების მოდელით.

დისტანციური სწავლების ფორმატი თითოეული მოსწავლის საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებისა და შედეგის უკეთ მიღწევის მიზნით გიმნაზია დისტანციურ სწავლებას

განახორციელებს როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული სწავლების ფორმით. დისტანციური სწავლების შემადგენელი ნაწილები იქნება:

- ☞ ონლაინ გაკვეთილები
- ☞ მასწავლებლების მიერ მომზადებული პრეზენტაციები Power-Point-ის ფორმატით, ან/და სხვა პროგრამებით,ასევე მოკლე ვიდეო-რესურსები მოსწავლეთათვის საჭირო და საინტერესო საკითხებზე.
- ☞ მასწავლებლების მიერ დისტანციურ (Fasebook)- ჯგუფებში ატვირთული მასალები.
- ☞ საშინაო დავალებებზე მიცემული წერილობითი უკუკავშირი.
- ☞ მოსწავლის ან/და მოსწავლეთა მცირე ჯგუფის კონსულტირება საჭიროებისამებრ.
- ☞ დისტანციური სწავლების პროცესში მასწავლებლები ონლაინ გაკვეთილებისთვის გამოიყენებენ Zoom-ის პლატფორმას, ხოლო ასინქრონული სწავლებისას EduPage- ს და დახურულ ჯგუფებს ფეისბუქში, მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით.

გიმნაზიის ადმინისტრაცია, კათედრის გამგეები დამრიგებლები, მასწავლებლები მშობლებთან კომუნიკაციას,მასწავლებლებთან თუ სხვა სახის სამუშაო შეხვედრებისათვის გამოიყენებენ Zoom-ის პლატფორმას,ასევე ისარგებლებენ ფეისბუქის დახურული ჯგუფებითა და ელექტრონული ფოსტით.
სასწავლო პროცესში მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწი ნებით, სარეკომენდაციო დატვირთვის (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) მაქსიმალური რაოდენობა იქნება შემდეგი:

კლასი	I-III	IV-V	VI-VIII	IX	X-XII
მაქსიმალური დასაშვები საათე ბი (ასტრონომიული) დღეში	1 საათი	1 საათი	1.5 საათი	1.5 საათი	2 საათი

ონლაინ გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა იქნება შემდეგი:

- ☞ I-IV კლასებში – 20-დან მაქსიმუმ 35 წუთი;
- ☞ V-IX კლასებში – 30- 35 წუთი;
- ☞ X-XII კლასებში – მაქსიმუმ 40 წუთამდე.

დისტანციური სწავლების დროს გაკვეთილი დაიგეგმება იმგვარად, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას სხვადასხვა ინტერაქტიული ტექნიკა, მათ შორის, 10-15-წუთიანი შესვენება ფიზიკური აქტივობით. პერიოდულად შეიძლება ჩატარდეს თვალის ვარჯიში, მაგ.: ეკრანიდან მზერის გადატანა შორს მდებარე საგანზე, თვალის კუნთების ვარჯიში (5-6-
ჯერ დახამხამება).
დისტანციური სწავლების განრიგი და საათობრივი ბადე შემუშავდება შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. დისტანციური სწავლების დროს განხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი შემდეგი მიმართულებით:
ა) ჩატარდა თუ არა დისტანციური გაკვეთილები დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით.
ბ) მოხდა თუ არა დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების აღრიცხვა.
გ) მოხდა თუ არა დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვა და მიზეზების კვლევა.
დ) დაცულია თუ არა ეთიკისა და ზოგადი ქცევის ნორმები.

ჰიბრიდული (შერეული) სწავლების მოდელის საჭიროების შემთხვევაში გიმნაზია იხელმძღვანელებს დისტანციური სწავლების ზემოთ აღწერილი პრინციპებით. დისტანციური და პირისპირ სწავლების პროპორციულობა სხვადასხვა ასაკობრივი საფეხურისათვის განისაზღვრება ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე. სწავლების როგორც პირისპირ,ისე ჰიბრიდული და დისტანციური სწავლების მოდელის შემთხვევაში გიმნაზიაში შენარჩუნებული იქნება სასკოლო-სასწავლო გეგმით გაწერილი შეფასების სისტემა.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეს, როგორც უფასო, ისე ფასიანი მომსახურების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული / /გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით. ამ მხრივ, გიმნაზიის სპეციფიკისა და მისიიდან გამომდინარე, გიმნაზია სთავაზობს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებას, რომლებზე დასწრებაც აუცილებელია კონკრეტული კლასის ყველა მოსწავლისათვის, კერძოდ , გიმნაზიის საათობრივ ბადეში გათვალისწინებულია სტანდარტზევით სავალდებულო სტატუსით შემოღებული საგნები: საღვთო სჯული - კვირაში 1 საათი I – XII კლასებში; ქრისტიანული ეკლესიის ისტორია - კვირაში 1 საათი V – IX კლასებში; საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია - კვირაში 1 საათი X – XII კლასებში;

ამ საგნების სწავლების მიზნებია: ახალგაზრდებმა გააცნობიერონ ზოგადად რელიგიებისა და კერძოდ, ქრისტიანობის წარმოშობისა და განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები; გაიაზრონ მსოფლიო და ქართული კულტურის განვითარებაში მისი როლი და მნიშვნელობა; დაეხმაროს მოსწავლეს ჰუმანური მსოფმხედველობის ჩამოყალიბებასა და მოყვასთან ღვთიური სიყვარულით ურთიერთობაში, ის საშუალებას აძლევს მოზარდს სიღრმისეულად შეიმეცნოს სამყაროს სხვადასხვა მოვლენები მართლმადიდებლური ქრისტიანობის თვალსაზრი

№	საგნების დასახელება	კლასების და საათების რაოდენობა											
		I ა-ბ	II	III	IV	V ა-ბ	VI	VII	VIII	IX ა-ბ	X	XI ა-ბ	XII
1	საღთო სჯული	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
2	ქრისტ. ეკლ. ისტორია					1	1	1	1	1			
3	საოჯ.ცხოვ ეთიკა-ფსიქ.										1	1	1

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა. შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ☞ აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
- ☞ ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
- ☞ გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა; აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების აღწერილობა

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზნები	სწავლისხარისხისგაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასებაცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. მოსწავლეები: თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

ქულები	1-2	3	4	5	6	7	8	9	10
შეფასების დონეები	დაბალი	საშუალოზე დაბალი		საშუალო		საშუალოზე მაღალი		მაღალი	

შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო

- **I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით.**

ამ კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში სასწავლო წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის პროგრესს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, I-IV კლასებსა და V კლასის I სემესტრისა და წლის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

- V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.
- V – VI კლასებში საშინაო დავალებაში ქულა არ იწერება.
- V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში,საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა
- დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები შეფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება; გ) შემაჯამებელი დავალება.

1. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.
2. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

- მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),
- მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),
- შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

- I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
- Vკლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება
- საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები)სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

კლასი	**I სემესტრი**	**II სემესტრი**
I, II, III, IV კლასი	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება
V კლასი	განმავითარებელი შეფასება	განმსაზღვრელი: - საკლასო - შემაჯამებელი
VI კლასი	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი: - საკლასო - შემაჯამებელი	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი: - საკლასო - საშინაო (დამოუკიდებელი) - შემაჯამებელი
VII, VIII, IX, X, XI, XII კლასი	განმსაზღვრელი: - საკლასო - საშინაო (დამოუკიდებელი) - შემაჯამებელი	განმსაზღვრელი: - საკლასო - საშინაო (დამოუკიდებელი) - შემაჯამებელი

საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტები

საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესედასხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს. საშინაო და საკლასო დავალებებში განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ არის სასურველი, როცა მოსწავლე **ახალი** ცოდნის/უნარების შეძენის საწყის ეტაპზეა.

ამ დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადსხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები
.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი და რაოდენობა

ეს კომპონენტი უკავშირდება სწავლების შედეგს. ამ კომპონენტით ჯამდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, პარაგრაფი, საკითხი), დამუშავებით მიღწეული შედეგი, ასევე მოსწავლის კომუნიკაციური უნარიც. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა,

- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადებადა სხვ.). რასაც თან უნდა ახლდეს პედაგოგის მიერ შემუშავებული მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.
- გიმნაზიის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია თითოეული საგნისათვის სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი სამუშაოების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა, რომელიც ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე სასკოლო-სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შემაჯამებელი დავალებები; მოსწავლეს, რომელსაც გარკვეული მიზეზების გამო გაუცდა რომელიმე შემაჯამებელი დავალება უფლება ეძლევა აღადგინოს გაცდენილი სამუშაო ჩატარების თარიღიდან 10 დღის განმავლობაში.
- თითოეული საგნის მასწავლებელი ვალდებულია კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტები, მასში წარმოდგენილი უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; შესრულებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან ვიზუალური მასალა, თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები და კლასის შემაჯამებელი სამუშაოს შედეგების ანალიზი. შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი უნდა ასახავდეს:

  - სამუშაოს თემას, მიზანს და სტანდარტს.
  - მოსწავლეთა რაოდენობა კლასში.
  - სამუშაოში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა.
  - იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც არ მიიღო მონაწილეობა და მიზეზი.
  - მოსწავეთა რაოდენობა , რომლებმაც დაძლიეს სამუშაოს სტანდარტი და მიზანი.

მათ შორის:

- ☞ მაღალი შეფასების მოსწავლეთა რაოდენობა და პროცენტი;
- ☞ საშუალოზე მაღალი შეფასების მოსწავლეთა რაოდენობა და პროცენტი;
- ☞ საშუალო შეფასების მოსწავლეთა რაოდენობა და პროცენტი;
- ☞ დაბალი შეფასების მოსწავლეთა რაოდენობა და პროცენტი;
- ☞ მასწავლებლის კომენტარი, მოსწავლეთა საერთო შედეგებზე.

გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი

შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი: მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ.

შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება გაცდენიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში. მობილობის შემთხვევაში შემაჯამებელი დავალების აღდგენა ხდება გიმნაზიის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე. შემაჯამებელი დავალების აღდგენა ხორციელდება იმავე, იდენტური ტიპის დავალებით.

ოფიციალური სტატუსის მქონე ქულათა სახეობები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- ☞ ***საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულები***: საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტების ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში.
- ☞ ***საგნის სემესტრული ქულა***: საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში.
- ☞ ***საგნის წლიური ქულა***: გამოითვლება სემესტრული ნიშნებისა და წლიური გამოცდის ნიშნების გათვალისწინებით.
- ☞ ***საერთო წლიური ქულა***: საგნების წლიური ქულებიდან გამომდინარე შეფასება.

საფეხურის საერთო ქულა: ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

საგნის, კლასის და საფეხურების დაძლევის და გადაყვანის წესი

დაწესდეს საგნის, კლასის და საფეხურის დაძლევის შემდეგი ბარიერი: 5,5 ქულა.

- ✓ ***საგანი*** დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5,5 ან მეტი;
- ✓ ***კლასი*** დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლის საშუალო წლიური და ყოველი საგნის წლიური ქულა არის 5,5 ან მეტი, რაც აძლევს მას შემდეგ კლასში გადასვლის უფლებას.
- ✓ ***დაწყებითი საფეხური დაძლეულად*** ჩაითვლება, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის შეფასება იქნება5,5 ქულა - დ ა მეტი; ამასთან ყველა საგანში აქვს დადებითი შეფასება, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე გადასვლის უფლებას.
- ✓ ***საბაზო საფეხური*** დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლეს საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) აქვს არა ნაკლებ 5,5-სა, ამასთან ყველა საგანში აქვს დადებითი შეფასება, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
- ✓ ***საშუალო საფეხური*** დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლეს საფეხურის ქულა აქვს არა ნაკლები 5,5-სა და ყველა საგანში დადებითი შეფასება.

დახმარების სტრატეგია: გიმნაზია საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს ყველა მოსწავლეს, რომელიც ვერ დაძლევს სასკოლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ ბარიერს. ამ შემთხვევაში გიმნაზიის რექტორატი იღებს გადაწყვეტილებას და საგნის მასწავლებლები დამატებით მეცადინეობებს უტარებენ აღნიშნულ მოსწავლეებს მათი ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც გაწერილია სპეციალური გრაფიკით. ამ მეცადინეობების მიმდინარეობას კოორდინირებას უწევს შესაბამისი საგნის კათედრის თავმჯდომარე და კლასის დამრიგებელი, რომელიც მიღწეული შედეგის შესახებ ინფორმაციას აწვდის როგორც მშობლებს, ასევე გიმნაზიის რექტორატს.

1. მოსწავლის გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში, რომლის წარმოება ხდება საკლასო ჟურნალთან ერთად, ყოველდღიურად დღის პასუხისმგებელი მორიგე მასწავლებლების მიერ. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გაცდენები.
2. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება.
3. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტი არ ვრცელდება აბიტურის საათის გაცდენის შემთხვევაში; ასევე კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%- ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.
5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, გიმნაზიის რექტორი ღებულობს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე

გიმნაზიაში შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები

სემესტრული გამოცდა გიმნაზიაში დაინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

1. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართვას აკეთებს გიმნაზიის რექტორის სახელზე. რექტორატი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე

დაშვება-არდაშვების შესახებ და აძლევს მას დასაბუთებულ პასუხს.

2. გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
3. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

საშემოდგომო გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში თუ:
გიმნაზიის მოსწავლეს ერთ ან ორ საგანში წლიური ქულა აქვს 5,5 -ზე ნაკლები.
საშემოდგომო გამოცდის პერიოდს და წესს განსაზღვრავს გიმნაზიის რექტორი; მოსწავლის წლიური ნიშანი განისაზღვრება საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე;
საშემოდგომო გამოცდის პერიოდში მოსწავლეებს ჩაუტარდებათ დამატებითი მეცადინეობა და კონსულტაციები; საშემოდგომი გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.

ექსტერნატის ფორმით გამოცდა
ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;
2. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები “) და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

წლიური გამოცდა
გამოცდების ჩატარების წესს, ფორმას და ვადებს ამტკიცებს გიმნაზიის რექტორი პრორექტორთან (სასწავლო-ადმინისტრაციულ დარგში) შეთანხმებით. გამოცდების ორგანიზებულად და ობიექტურად ჩატარების მიზნით რექტორი ნიშნავს და ამტკიცებს საგამოცდო კომისიას. დამტკიცებული საგამოცდო ცხრილი, შესაბამისი ინსტრუქციით, გამოცდების დაწყებამდე 10 დღით ადრე გამოიკვრება მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გასაცნობად. საგნის მასწავლებელი კომისიის წევრებთან ერთად ამოწმებს მოსწავლეთა ცოდნას (გამოცდის ფორმატი-ზეპირი ბილეთებით), გამოცდების შედეგებს აფიქსირებს საგამოცდო უწყისში და წარუდგენს გიმნაზიის ადმინისტრაციას

სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდა (წლიური გამოცდა)

VII *კლასი* ----- ფიზიკა, ინგლისური ენა.

VIII- *კლასი* --- რუსული ენა, ბიოლოგია.

IX -ა *კლასი* -- ქართული ენა, გეოგრაფია.

IX-ბ *კლასი* -- ქართული ენა, ქიმია.

X-*კლასი* - ქართული ენა და ლიტ-რა, მათემატიკა

XI -ა *კლასი* - ბიოლოგია, ისტორია.

XI-*ბ კლასი* - ისტორია, ინგლისური ენა.

XII კლასში ჩატარდება სადირექტორო საკონტროლო წერები პირველი და მეორე სემესტრების ბოლოს შემდეგ საგნებში- ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა,ისტორია, უცხოური ენა;

ნიშნების გამოანგარიშების წესი.

საგნის სემესტრული ნიშანი გამოიანგარიშება მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული სამივე კომპონენტის ნიშნების ჯამის გაყოფით ნიშნების საერთო რაოდენობაზე. მიღებული

ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ: 6,1 მრგვალდება 6-მდე, 7,5-კი 8- მდე).

იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი მისი მაგალითად, თუ მოსწავლეს სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში მიღებული აქვს 7 ნიშანი, ამასთან 4 გეგმიური შემაჯამებელი დავალებიდან შესრულებული აქვს 2 დავალება, ასეთ შემთხვევაში ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს არა 7-ზე არამედ 9-ზე.

საგნის წლიური ნიშანი

გიმნაზიის მოსწავლეებისათვის სასწავლო გეგმის მიერ განსაზღვრული წესის თანახმად წლიური ნიშანი გამოიანგარიშება ორი სემესტრული და წლიური გამოცდის ნიშნების საშუალო არითმეტიკულიდან. წლიური ნიშანი არასაგამოცდო საგნებში გამოიანგარიშება სემესტრული ნიშნების საფუძველზე, ხოლო საგამოცდო საგნებში - სემესტრული და საგამოცდო ნიშნების საფუძველზე. საგნის წლიური ნიშანი მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ: 7.25 7-მდე; 9.5 10-მდე).
იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა გამოცდაზე, დანიშნულ დღეს, წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე ენიშნება განმეორებითი გამოცდა გიმნაზიის მიერ განსაზღვრულ საგამოცდო პერიოდში.

საერთო წლიური ქულა

საერთო წლიური ქულა გამოიანგარიშება საფეხურის ფარგლებში მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისას;

საერთო წლიური ქულა ერთი ნიშნით გამოიხატება, გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულით: ვკრებთ გიმნაზიის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგნის წლიურ ქულათა ჯამს და ვყოფთ ნიშნების საერთო რაოდენობაზე;

- საერთო წლიური ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ. 7.14 7.1-მდე ;8.27 8.3-მდე).
- კლასიდან კლასში მოსწავლე გადაიყვანება თუ საერთო წლიური ქულა აღემატება 5,5-ს,
- ამასთან ყველა საგანში წლიური ქულა ტოლია ან მეტია 5,5-ისა;

საფეხურის საერთო ქულა

საფეხურის საერთო ქულა გამოითვლება იმ პრინციპით, როგორითაც გამოითვლება საერთო წლიური ქულა. საფეხურის კლასების ყველა საგნების ქულების ჯამს ვყოფთ მათ რაოდენობაზე (მაგ: მათემატიკა X კლასი, ქართული X კლასი, ქართული XII კლასი, მათემატიკა XII კლასი და სხვა).
საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედებამდე (მაგ: 7.25 7.3-მდე; 9.55 9.6-მდე)

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

- ✓ მოსწავლე, რომელიც გიმნაზიას წარმატებით დაამთავრებს, რომლის საფეხურის საერთო ქულა არის 10 დამრგვალების გარეშე, იღებს ოქროს მედალს;
- ✓ მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო მიღწევა მეათედამდე დამრგვალების შემდეგ არის 9,8 და 9,9 იღებს ვერცხლის მედალს;

გიმნაზიის საგნობრივი კათედრები და მათი ფუნქციები

გიმნაზიაში 2021 -2022 სასწავლო წელს სასწავლო პროცესების დაგეგმვის და კორდინაციის მიზნით და ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განვითარებისა და დაწინაურების მიზნით შექმნილია შემდეგი საგნობრივი კათედრა:

2021-2022 ს/წელს გიმნაზიაში მუშაობს 5 საგნობრივი კათედრა:

დაწყებითი კლასების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა

კათედრის შემადგენლობაში შედის დაწყებითის საგნები (I- IV კლასი), ასევე შედის სახვითი და გამოყენებითი ***ხელოვნება*** (ისწავლება I-IX ***კლასებში),*** ***მუსიკა*** (ისწავლება I-IX

კლასებში); ***ფიზიკური აღზრდა და სპორტი*** (ისწავლება I-XII კლასებში), აქედან ზოგადი სპორტი (ისწავლება I-VI კლასებში) ***ჭადრაკი*** (ისწავლება I- VII კლასებში;) VII-XII კლასებში არჩეულია ***კალათბურთი;*** IX-ბ კლასში ***მაგიდის ჩოგბურთი;*** X-ა კლასში - ფენბურთი.

ქართული ენა, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა

კათედრის თავმჯდომარე: ბადრი ჰაჰავა

კათედრაზე გაერთიანებულია საბაზო და საშუალო საფეხურის სავალდებულო საგნები: **ქართულიენა და ლიტერატურა** (ისწავლებაV-XII კლასებში); **ჩვენი საქართველო** (ისწავლება V-VI კლასებში); **საქართველოს და მსოფლიო ისტორია** (ისწავლება VII- VIII, XI -XII კლასებში); **საქართველოს ისტორია** (ისწავლება IX კლასში); **შესავალი ისტორიაში** (ისწავლება X კლასებში); **მოქალაქეობა/მოქალაქის ეთიკა** -(ისწავლება VII კლასებში); **სამოქალაქო განათლება** (ისწავლება IX და Xკლასებში); **გეოგრაფია** (ისწავლება VII- VIII კლასებში); **საქართველოს გეოგრაფია** (ისწავლება VII-IX კლასში); **მსოფლიოს გეოგრაფია** (ისწავლება X კლასში); **გლობალური პრობლემების გეოგრაფია. საგანი „მე და საზოგადოება** "- ისწავლება III-IV კლასებში;

უცხოური ენების კათედრა

კათედრის თავმჯდომარე: ნათია გუბელაძე

კათედრაზე გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

ინგლისური ენა როგორც პირველი უცხო ენა, (ისწავლება I-XII კლასებში)
რუსული ენა (როგორც მეორე უცხო ენა) ისწავლება (V-XII კლასებში).
გერმანული ენა (როგორც მესამე უცხო ენა) ისწავლება ასევე V- VI, VIII-ბ და XI- ა კლასებში).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა

კათედრის თავმჯდომარე:ნინო ზაქარაია

კათედრას მიეკუთვნება შემდეგი საგნები: ***ბუნებისმეტყველება*** – ისწავლება დაწყებითი საფეხურზე, ასევე V-VI კლასებში ***ბიოლოგია*** (ისწავლება VII-XI კლასებში); ***ფიზიკა*** (ისწავლება VII-XI კლასებში); ***ქიმია*** (ისწავლებაVIII-XI კლასებში); (არჩევითი საგანი- სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა ისწავლება X- XI კლასებში.

მათემატიკა- ისტ-ის კათედრა

კათედრის თავმჯდომარე: დარეჯან გოჩელაშვილი

კათედრაზე გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები: ***მათემატიკა*** – (ისწავლება I-XII კლასებში); ***ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები*** – (ისწავლება I; V; VI კლასებში);

კათედრების ფუნქციებია:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინაცია;
- საგნობრივი თემატური გეგმების შედგენისას ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების

წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

- გრიფირებული სახელმძღვანელოების შერჩევა;
- პროფესიული განვითარებისათვის (მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში) ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა.
- სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და ადმინისტრაციისათვის წარდგენა.
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;
- შიდადაკვირვების, სამოდელო, გარედაკვირვებისა და სხვა სასწავლო აქტივობების მომზადების და ჩატარების კოორდინაცია, მათი გაანალიზება;
- პროფესიული განვითარებისათვის სათანადო გზების დასახვა;
- კათედრის წევრებიდან ერთი სასწავლო წლის ვადით კათედრის თავმჯდომარის არჩევა.

კათედრების მოწყობა:

ა) კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი სასწავლო წლის ვადით ხმათა უმრავლესობით;
ბ) ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ მხოლოდ სამჯერ

კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:

- ☞ კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
- ☞ კათედრის სამუშაო წლიური გეგმის შედგენა;
- ☞ გიმნაზიის ადმინისტრაციისთვის კათედრის შეხვედრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება (მაგ., გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
- ☞ მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ.) ორგანიზება.

კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ (მათ შორის, სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით). კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე. შეკრებებზე განიხილება გიმნაზიის სასწავლო გეგმა, საგნობრივი პროგრამები და საგნობრივი თემატური გეგმები, რეკომენდირებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. ამასთან, წინასწარ განსაზღვრავენ რა პრობლემების გადაჭრა იქნება აუცილებელი; რა რესურსების გამოყენება იქნება საჭირო ეფექტიანად სწავლებისათვის და ა.შ. სემესტრების ბოლოს კათედრის შეხვედრისას ასევე უნდა მოხდეს საგანმანათლებლო სტანდარტის შესრულების ანალიზი. პრობლემების გამოვლენა და შეფასება, თუ რა ხარისხით იქნება შესაძლებელი ყველა მოსწავლისათვის საგნობრივი პროგრამების სტანდარტით გაწერილი შედეგების მიღწევა.

სასკოლო-საათობრივი ბადე

სასკოლო -სასწავლო გეგმას დანართი N-1-ის სახით თან ერთვის საათობრივი ბადე

შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა 2021 -2022

სასკოლო -სასწავლო გეგმას დანართი N-2-ის სახით თან ერთვის შემაჯამებელი დავალებები კლასების მიხედვით.

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი

გიმნაზია უზრუნველყოფს სასკოლო სივრცეში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

- ✓ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;

- ✓ დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;
- ✓ სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

სასკოლო -სასწავლო გეგმას დანართი **N-3-ის** სახით თან ერთვის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების მიხედვით

სადამრიგებლო პროგრამა, კლასის დამრიგებლის მოვალეობები

კლასის დამრიგებელს ევალება:

1. გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);
2. სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 15-20 წუთით ადრე გიმნაზიაში გამოცხადება და სასწავლო პროცესის დასრულებამდე კლასთან ყოფნა;
3. ელექტრონული საკლასო ჟურნალის წარმოების კონტროლი;
4. სადამრიგებლო პორტფოლიოს წარმოება;
5. მოსწავლისათვის აკადემიური თუ სხვა პრობლემის გადაჭრაში დახმარების გაწევა;
6. რეგულარულად (თვეში ოთხჯერ- I- IX კლასის ჩათვლით) და თვეში ორჯერ X-XII კლასებისთვის „კლასის საათის “ ჩატარება. „კლასის საათის “ მიზანია მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე:

- ❖ პიროვნული და მორალური განვითარება - მე - პიროვნება, სოციუმი ჩემ გარშემო, ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან, ტოლერანტობა, ადამიანთა უფლებები, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, ეტიკეტი;
- ❖ გარემოს დაცვითი კულტურის განვითარება - გარემოს მნიშვნელობის გაცნობა, გარემოს დაბუნების მოფრთხილება;
- ❖ მეწარმეობის უნარების განვითარება - ასაკის შესაბამისი ბიზნეს უნარების განვითარება;
- ❖ დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენასა და გააზრებაში;
- ❖ გააცნოს მოსწავლეს პროფესიათა სამყარო ცალკეული პროფესიის თავისებურებები და ის მოთხოვნები, რომელსაც იგი უყენებს მომუშავეს;
- ❖ გააცნოს კონკრეტული პროფესიით დასაქმების შესაძლებლობები;
- ❖ დასაბუთებული რეკომენდაციის საშუალებით დაეხმაროს მოსწავლეს პროფესიის სწორად არჩევაში;
- ❖ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია - პირადი ჰიგიენა, ავადმყოფობის გავრცელების წყაროები, სასარგებლო საკვები, დროის ორგანიზება, დღის რეჟიმი, სპორტის მნიშვნელობა, მავნე ჩვევების საფრთხე;
- ❖ უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია - ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის ფენომენი; კონფლიქტების არა ძალადობრივი მეთოდებით გადაჭრის გზების ძიება; მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება - ჩემი სკოლა, ჩემი ქალაქი/სოფელი, ჩემი სამშობლო, ისტორია,
- ❖ გამოჩენილი პიროვნებები, მნიშვნელოვანი მოვლენები, ტრადიციები, წესები და კანონები;
- ❖ თვალსაწიერის გაფართოება - ხელოვნების, ლიტერატურის, ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების მნიშვნელობა.

7. რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის **დისციპლინის, აკადემიური მიღწევის, *პიროვნული*** პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ.
8. კლასის დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, (ბრძ.40/ნ) მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;

9. მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.
10. სასწავლო-საკლასო ოთახის მოწყობა-მოწესრიგებასა და სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზრუნვა.
11. სასწავლო- საგაკვეთილო დროის განმავლობაში კლასის დამრიგებლის გიმნაზიიდან გასვლა თანხმდება გიმნაზიის ადმინისტრაციასთან;
12. თუ (VI-XIIკლასის) მოსწავლის ცალკეული საგნის ან საშუალო წლიური მოსალოდნელი ნიშანი 5.5-ზე დაბალია, დამრიგებელი აფრთხილებს მშობელს და მოსწავლეს, რათა მოსწავლემ შეძლოს კლასისა და საფეხურის დაძლევა.

რეკომენდაცია სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელების შესახებ

სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს. დამრიგებლები, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, წინასწარ გეგმავენ შეხვედრებსა და ღონისძიებებს. დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით:

- საუბრები მოსწავლეებთან;
- დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;
- ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება;
- ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა;
- მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა და ა.შ.

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად. გიმნაზიის მოსწავლეთა კონტინგენტში დღევანდელი მონაცემებით არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა გიმნაზიის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გაუწიოს საგანმანათლებლო მომსახურეობა ასეთი ტიპის მოსწავლეს. კერძოდ, მეორე კორპუსის გვერდით შემოსასვლელს აქვს ბეტონის პანდუსი სსს მოსწავლის ეტლის გადასაადგილებლად, მოწესრიგდა ამ კატეგორიის მოსწავლისათვის ადაპტირებული სველი წერტილი. აგრეთვე მისთვის ხელმისაწვდომი იქნება საჭიროების შემთხვევაში მთავარი კორპუსის მეორე სართულზე განლაგებული საკლასო ოთახები და კომპიუტერული კლასი.

გიმნაზიას ასეთი მოსწავლეების არსებობის შემთხვევაში შემუშავებული აქვს კონცეფცია:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად გაითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიქმნება სასწვლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს სამი კვირისა.
4. ინდივიდუალური სასწვლო გეგმა ყველა საგანში შეიქმნებაან რომელიმე კონკრეტულ საგანში სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
5. სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად განისაზღვრება:
   - სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები.
   - დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული

სასწავლო შედეგების მიღწევას თოთოელ საგანში

- ☞ მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები. მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა.
- ☞ დამატებით მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი ან ფსიქოლოგი.
- ☞ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გაიითვალისწინებს ინფორმაციას ბავშვის ინტერესების, სულიერი დასუსტი მხარეების შესახებ.

6. სსსმ მოსწავლისათვის სკოლა განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფს.
7. ისგ ჯგუფში გაერთიანდებიან ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე მშობელი, სკოლის ადმინისტრაციის წევრი,ფსიქოლოგი ან სპეციალური მასწავლებელი.
8. ისგ ჯგუფს ეყოლება კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის მუშაობას (დამრიგებელი ან სპეციალური მასწავლებელი).
9. ისგ-ის შედგენის შემდეგ ჩატარდება ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა.
10. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები, რომლებიც ინახება მოსწავლის პირად საქმეში.
11. ისგ შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს.
12. ისგ ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს გიმნაზიის ადმინისტრაციას მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია.
13. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სსსმ მოსწავლის თითოეული საგნის მასწავლებელმა ისგ ჯგუფის კოორდინატორისათვის გადასაცემად მოამზადებს სსსმ მოსწავლის მიღწევის ანგარიშს, რომელიც წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები.

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადმიური მიღწევის შეფასება.
2. სსსმ მოსწავლისათვის სემესტრული, წლიური და საფეხურის საერთო ქულების გამოანგარიშება ხდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისათვის.
3. გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას, თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.
4. სასკოლო გეგმით განსაზღვრულ წლიურ გამოცდას აბარებს სსსმ მოსწავლეც, მისთვის ადაპტირებული საგამოცო მასალით.

სსსმ მოსწავლის შინ სწავლება

იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ესაჭიროება ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია ან რიგი მიზეზების გამო ვერ დადის გიმნაზიაში, მისი განათლება მოხდება შინ სწავლების მეთოდით. მოსწავლე ირიცხება გიმნაზიაში და გიმნაზია უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც წარიმართება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

კ ლ ა ს ი	I-IV	V-VI	VII-IX	X-XII
მინიმალური საათები კვირის განმავლობაში	5 სთ	6 სთ	8 სთ	8 სთ

დისციპლინა

გიმნაზიის სასწავლო საამღზრდელო გეგმით გათვალისწინებულია მოსწავლეებისათვის სწავლების აუცილებელი უსაფრთხოება და მშვიდი გარემოს შექმნა, სასკოლო ინვეტარისა და ქონების დაცვა. გიმნაზიას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება, რომელიც მოიცავს ინსტრუქციებს სასკოლო საზოგადოებისათვის, გიმნაზიის თანამშრომელთათვის და მისი დაცვა ევალება გიმნაზიაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს.

დამრიგებლები გამცდენ მოსწავლეებზე ინფორმაციას აწვდიან მშობლებს და საჭიროების შემთხვევაში მოსალოდნელი საფრთხის შესახებ წერილობით აფრთხილებენ მათ გიმნაზიასა და მშობელს შორის ხელშეკრულების შესაძლო შეწყვეტის შესახებ. ხოლო თუ სასწავლო დღეების გაცდენები იძენს სისტემატიურ ხასიათს და თუ მისი გაცდენები აღემატება წლიური სასწავლო დღეების 30%-ზე მეტს ტარდება შინაგანაწესით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მოსწავლის გიმნაზიიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი პედაგოგიური საბჭოს წარდგინებით

სავალდებულო და არჩევითი საგნები.

საგნების და ჯგუფების მთავარი პრინციპები

განათლებისა და მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გიმნაზიაში ცალკეული საგნების სწავლება ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. სასწავლო საგნები ერთიანდება ექვს საგნობრივ ჯგუფში:
   - ☞ ქართული ენა და ლიტერატურა; საქ. ისტორია, საქ. გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები;
   - ☞ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
   - ☞ მათემატიკა;
   - ☞ უცხო ენები; (ინგლისური, რუსული, გერმანული)
   - ☞ დაწყებითი განათლება, ფიზიკური, შრომითი და ესთეტუკური აღზრდა;
   - ☞ სასულიერო საგნები.
2. საგნობრივი ჯგუფები შეიცავს მსგავსი მიზნებისა და შესწავლის სფეროების მქონე საგნებს. ამასთან იგი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საათების განაწილების პრინციპი.
3. თითოეული საგნობრივი ჯგუფის საგნები ისწავლება სამივე საფეხურზე.
4. დაწყებით საფეხურზე საგნებს შორის ინტეგრაციის ხარისხი გაცილებით მაღალია ვიდრე საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სადაც საგნები უფრო სპეციალიზებულად ისწავლება

საგნობრივი ჯგუფები

ქართული ენა და ლიტერატურა

ამ საგნის შესწავლამ მოზარდს უნდა განუვითაროს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები საქართველოს სახელმწიფო ენაზე (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი). ამ ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიზანია გამოუმუშავოს მოსწავლეს ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემა, შეაყვაროს კითხვა, ხელი შეუწყოს მხატრული ნაწარმოებების ესთეტიკური აღქმის და შეფასების უნარის ჩამოყალიბებას.

ჯგუფის სავალდებულო საგნებია:

- ☞ ქართული ენა და ლიტერატურა (ისწავლება I - XII კლ.).

მათემატიკა

საგნის სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში კვლევის ჩვევის, აგრეთვე ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნების გამომუშავება. ამ საგნის სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომლებიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული, პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად.

სავალდებულო საგანი:

- ☞ მათემატიკა (ისწავლება I - XII კლ.);
- ☞ ისტ (ისწავლება I და V კლასში - პირველი დონე, VI კლასში - მეორე დონე).

ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიზანია: ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მედია და ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებას; დაეხმაროს მათ სხვადასხვა დარგისათვის სპეციფიკური ტექნოლოგიების დაუფლებაში და ამ ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაში, როგორც სხვადასხვა საგანთან ინტეგრირებული სწავლებისას, ასევე ცალკე სწავლების გზით.

უცხოური ენები

უცხო ენამ მოსწავლეს სახელმწიფო ენასთან ერთად უნდა განუვითაროს მინიმუმ ორ უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი. საშუალო საფეხურის დამთავრებისას ერთ-ერთ უცხო ენაში მოსწავლე უნდა ფლობდეს sIII - sIV დონეებს; ხოლო მეორე ენაში sII დონეს;

სავალდებულო საგნები:

- ☞ პირველი უცხო ენა - ინგლისური (ისწავლება I-XII კლ.);
- ☞ მეორე უცხო ენა - რუსული (ისწავლება V- XII კლ.);
- ☞ მესამე უცხო ენა - გერმანული (ისწავლება V -VI- VIII კლასებში მშობელთა სურვილის მიხედვით).

საქ. ისტორია, გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები

ამ საგნის ჯგუფის მთავარი მიზანია გამოუმუშავოს მოზარდს, როგორც საქართველოს მოქალაქეს, უნარი განსაზღვროს თავისი ადგილი მსოფლიოში გეოგრაფიული, ისტორიული, რელიგიური, პოლიტიკური, კულტურული თუ ეთნიკური რეალობის გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

- ☞ მე და საზოგადოება (ისწავლება III-IV კლასებში);
- ☞ ჩვენი საქართველო (ისწავლება V - VIკლ.);
- ☞ ისტორია (ისწავლებაVII - XIIკლ.);
- ☞ გეოგრაფია (ისწავლება VII - XI კლ.);
- ☞ მოქალაქეობა/სამოქალაქო განათლება (ისწავლებაVII–Xკლ.).

არჩევით მსოფლიო კულტურა (ისწავლება XII კლ. პირველ სემესტრში);

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ამ ჯგუფის მეცნიერებებმა მოსწავლეს უნდა გამოუმუშავოს კვლევის, სამყაროს და გარემოს შესწავლის, მისი დაცვისა და შენარჩუნების უნარ-ჩვევები. მოსწავლე გაეცნობა სამეცნიერო მეთოდებს და შეისწავლის მათი გამოყენების ხერხებს სამყაროს აღქმისა და გააზრებისათვის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფის საგნები:

- ☞ ბუნებისმეტყველება (ისწავლება I - VI კლ.);
- ☞ ბიოლოგია (ისწავლება VII - XI კლ.)
- ☞ ფიზიკა (ისწავლება VII- XI კლ.);
- ☞ ქიმია (ისწავლება VIII - XI კლ.). არჩევითი საგანი:
- ☞ სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა (ისწავლება X-XI კლ.).

ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა

ამ საგნების მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, შრომითი და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება; მოზარდის მიერ ხელოვნების ნიმუშების შექმნისა და მათი შეფასების უნარი.

ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი საგნები:

- ☞ ფიზკური აღზრდა/სპორტი (ისწავლება I - XIIკლ.);
- ☞ მუსიკა (ისწავლება I - IXკლ.);
- ☞ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ისწავლება I - IXკლ.).
- ☞ საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება (ისწავლება XI კლ.)

სასულიერო საგნების ჯგუფი

დამატებითი სავალდებულო საგნები:

- ☞ საღვთო სჯული (ისწავლება I - XII კლ.);
- ☞ ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (ისწავლება V – IX ჩათვლით)
- ☞ *საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია (ისწავლება X - XII კლ.)*

<u>არჩევითი საგანი</u>

- ☞ სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა - X-XI კლ.;
- ☞ მსოფლიო კულტურა - XII კლ.
- ☞ ქიმიური ტექნოლოგიები - XI

შემუშავებულია სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა, ჯამდება მოსწავლეთა შედეგები, აანალიზდება რა გაკეთდა, როგორ და რა ხარისხით, მშობელთა და გიმნაზიის საქმიანობით დაინტერესებულ სხვა პირთა აზრებს. საქმიანი წინადადებებისა და შენიშვნების განთავსება შესაძლებელია გიმნაზიის ჰოლში მოთავსებულ წინადადებების ყუთში, რომელიც პერიოდულად იხსნება და იქ მოთავსებული რეკომენდაციები ვცდილობთ გავითვალისწინოთ. წლის ბოლოს ჯამდება შედეგები, იგეგმება მომავალი სასწავლო წლისთვის გასათვალისწინებელ ცვლილებებს რომ განვამტკიცოთ და გავაუმჯობესოთ სწავლისა და სწავლების ხარისხი და შედეგი.

ადმინისტრაციის მშობელთან ურთიერთობა

1. მშობლებთან ურთიერთობა მიმდინარე სასწავლო წელს პანდემიიდან გამომდინარე ძირითადად წესრიგდება სამი მეთოდის გამოყენებით: წერილობით ან წინასწარ დანიშნული შეხვედრის მეშვეობით, ან წინასწარ შეთანხმებით მშობელი ვალდებულია წინასწარ შეუთანხმდეს გიმნაზიის ადმინისტრაციას მისთვის სასურველი შეხვედრის დანიშვნის შესახებ;
2. სასწავლო პროცესში არსებული მიმდინარე სიახლეების (მაგ. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისთვის ახალი რეგულაციების შესრულება სწავლა-სწავლების პროცესის სიახლეები და სხვა) შესახებ ინფორმაციას მშობელი იღებს ადმინისტრაციის მიერ შეტყობინებით;
3. ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა საშუალებებით: (სატელეფონო საშუალებით; ფოსტით; ელექტრონული ფოსტით; ინფორმაციის მიღების სხვა საშუალებებით.)
4. გიმნაზიის ადმინისტრაციის მიერ მშობლისთვის ამავე მუხლი სმე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი საშუალებით გაგზავნილი ინფორმაცია ითვლება მეორე მხარის მიერ მიღებულად და გაცნობილად.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხის შესახებ მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოების შემთხვევაში ადმინისტრაციას პასუხისმგებლობა არ ეკისრება.
6. პედაგოგიური საბჭო მსჯელობს და გიმნაზიის რექტორი ამტკიცებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირების წესს, რომელიც აძლევს მშობელს საშუალებას ფლობდეს ინფორმაციას მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ყოფაქცევისა და დაგვიანებების

შესახებ.

7. კლასის დამრიგებელს ევალება სემესტრში ორჯერ მშობლებისათვის კომენტარის ფურცლების გაგზავნა, რაც გულისხმობს ინდივიდუალურად თითოეული მოსწავლის მუშაობის დაწვრილებით ანალიზს საგნების მიხედვით, ამასთან ერთად კლასის დამრიგებლის კომენტარს ყოფაქცევის, გაცდენებისა და დაგვიანებების შესახე კლასის დამრიგებელი ასევე საჭიროებისამებრ ახორციელებს მშობლებთან სატელეფონო გასაუბრებას. კლასის დამრიგებელი გიმნაზიის ადმინისტრაციასთან ერთად სემესტრში ორჯერ გეგმავს მშობელთა გაერთიანებულ კრებას,
8. დამრიგებლის კომენტარს ყოფაქცევის, გაცდენებისა და დაგვიანებების შესახე კლასის დამრიგებელი ასევე საჭიროებისამებრ ახორციელებს მშობლებთან სატელეფონო გასაუბრებას. კლასის დამრიგებელი გიმნაზიის ადმინისტრაციასთან ერთად სემესტრში ორჯერ გეგმავს მშობელთა გაერთიანებულ კრებას, სადაც მშობლები (ინდივიდუალურად საჭიროების შემთხვევაში) ხვდებიან საგნის პედაგოგებს.
9. სემესტრის ბოლოს, მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების (9-10 ქულა) შედეგები ქვეყნდება გიმნაზიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.wmgabrielisgimnazia.ge რაც ერთგვარი სტიმული და მოტივაციაა სხვა მოსწავლეთათვის. ვინაიდან I-IV კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება, კომენტარის ფურცელში, ქულის ნაცვლად პედაგოგი იყენებს ისეთ საშუალებებს, როგორიცაა რჩევა- დარიგება, კონკრეტული მოსწავლის წინსვლის ხელშესაწყობად საკუთარ მიღწევებთან.

შიდასასკოლო სასწავლო მონიტორინგის პრინციპები:

გიმნაზიაში ადმინისტრაციის კონტროლის პროცესი მიმდინარეობს სამი მიმართულებით:

- **მონიტორინგი**-წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების პროცესს, სიტუაციის მუდმივ მეთვალყურეობას, ანალიზს
- **შეფასება**- მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის ანალიზი
- **შემოწმება**- მასწავლებელთა და მოსწავლეთა შედეგების განხილვა სასწავლო წლის განმავლობაში კონტროლდება სასწავლო პროცესში პედაგოგთა მუშაობა, მონიტორინგის შემდეგი მიმართულებით:
- მართვა- შედეგები-სასწავლო მეთოდები
- პროფესიული პასუხისმგებლობა
- მასწავლებლების მუშაობის შემოწმება ხდება შემდეგი მეთოდებით:
- გაკვეთილის დაგეგმვის შემოწმება
- თემატური გეგმების შემოწმება
- გაკვეთილზე დასწრება
- სემესტრული და წლიური ანგარიშები საგნის დინამიკის მონაცემებით.

პედაგოგის მუშაობა უნდა აისახებოდეს შესაბამისი დოკუმენტების არსებობაში, კერძოდ:

- თემატურ-კალენდარული გეგმები
- დაგეგმილი გაკვეთილების რვეული
- შემაჯამებელი წერითი სამუშაოების ანალიზი და გრაფიკი
- სემესტრული და წლიური ანგარიშები
- შეფასების კრიტერიუმები კომპონენტების მიხედვით
- მასწავლებლის პორტფოლი

კათედრის გამგეებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ:

- წლიური სამუშაო გეგმა
- კათედრის დებულება
- წლის განმავლობაში ჩატარებული სხდომების ოქმები
- სემესტრული და წლიური ანგარიშები კათედრის საგნობრივი ჯგუფის საგნების დინამიკის მონაცემებით.
- ოლიმპიადების, კონფერენციების პროექტების ჩატარების გეგმა და ანგარიში
- კათედრის მიერ წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალები

ფოტომასალა, ნაშრომები,ღონისძიებათა პროექტები ,სცენარები და სხვ

სააღმზრდელო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი სახის დოკუმენტაციის ანალიზით:

- ☞ სადამრიგებლო პროგრამა
- ☞ კლასის დამრიგებელთა სემესტრული და წლიური ანგარიშები
- ☞ მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ამსახველი დოკუმენტებით(საგაკვეთილო პროცესებზე დასწრებისა დისციპლინის მდგომარეობის ასახვით)
- ☞ მოსწავლეთა გარეგნული იერსახისა(გიმნაზიის მიერ დაწესებული ფორმების ტარება) და სასწავლო ნივთების ტარების შემოწმების მონაცემები
- ☞ სხვადასხვა სახის სააღმზრდელო ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები
- ☞ სადამრიგებლო პორტფოლიოს წარმოება.

გიმნაზიაში მოსწავლეთა ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებენ სასწავლო პროცესის კოორდინატორი, კომუნიკაციების მენეჯერი დღის პასუხისმგებელ და მორიგე მასწავლებლებთან ერთად. გიმნაზიის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი გიმნაზიის სამეურნეო ნაწილის გამგესთან ერთად დღის განმავლობაში ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე საკლასო ოთახებისკენ გადაადგილებისა თუ შესვენებების პერიოდშ. შესაბამისად ყოველდღიურად მოწმდება და სპეციალურ ჟურნალში ფიქსირდება მოსწავლეთა ყოველდღიური დასწრება-დაგვიანება, გაკვეთილებიდან უნებართვოდ წასვლა (გაპარვის ფაქტი), ასევე მოწმდება სასკოლო ფორმებისა და სასკოლო ნივთების ტარების მდგომარეობა. გიმნაზიის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე მონიტორინგს აწარმოებს გიმნაზიის ექიმი, რომელიც ამზადებს წერილობით ანგარიშებს გიმნაზიის ადმინისტრაციის წინაშე. ადმინისტრაციის მიერ შენობის მდგომარეობის შემოწმება მიმდინარეობს სისტემატიურად. გაკვეთილების შემდეგ (დღის 3სთ-დან) გიმნაზიის შენობის დაცვასა და უსაფრთხოებაზე ზრუნავენ ღამის დარაჯები;